ხელშეკრულება № 68
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(cpv -80500000
80510000)

ქ. თბილისი **2019 წელი 20**

დეკემბერი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 თავის 10[1]-ე მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს 13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის შესაბამისად, ერთი მხრივ **შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია" (ს/ნ 245626684)** წარმომადგენილი დირექტორის სოფიო ანანიძის სახით (შემდგომში „მომხმარებელი") და მეორე მხრივ, **გიორგი ჯუღელი (შემდგომში** „მიმწოდებელი") (პ/ნ18001000850), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება") - მომხმარებელსა და როინ მიგრიაულს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართულია ყველა დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მომხმარებელმა აკადემიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „მომხმარებელი" - პირადი საჭიროებისათვის მომსახურების შემკვეთი ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქე, დაინტერესებული მხარე;

1.5 ,,მსმენელი" - მომხამრებლის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი;

1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ტრენინგის დასახელებაა: დირექტორის პასუხისმგებლობის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნარჩენების მართვის სფეროში, მათი მოვალეობების გათვალისწინებით.

3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის თარიღი: 2019 წლის 21,22 დეკემბერი.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქალაქი ბათუმი.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1970 (ერთი ათას ცხრაას სამოცდაათი)** ლარს (საშემოსავლოს გადასახადის გარეშე).

4.2 საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ საშემოსავლო გადასახადს 20%, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში იხდის შემსყიდველი.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი უფლებმოსილია:

5.1.1ტრენინგი წარმართოს დანერგილი მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად;

5.1.2ტრენინგის მაღალ დონეზე წარმართვის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები;

5.2 **მომხმარებელი უფლებამოსილია:**

5.2.1მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

5.3 **მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:**

5.3.1მსმენელი შესაბამისი სასწავლო მასალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5.3.2განიხილოს მსმენელის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

5.3.3განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები

5.4 **მომხმარებელი ვალდებულია:**

5.4.1უზრუნველყოს ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული სწავლების საფასურის გადახდა მომსახურების გაწევის შემგომ, 10 კალენდარული დღის ვადაში.

5.4.2ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამის ორგანიზება მისამართზე - ქ. ბათუმი, მ.კო მახიძის ქ, 119.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, გაწეული მომსახურების მიღების შემდეგ მხარეთა შორის ხელის მოწერით;

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

7.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

7.1.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდა ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტის 5.4.1 ქვეპუნქტის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

8.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად არ განიხილება, ისეთი შემთხვევები, როდესაც შემსრულებლისაგან/აკადემიისგან დამოუკიდებელი მიზეზ(ებ)ის გამო, მსმენელი არ დაესწრება სასწავლო პროგრამას, ვერ დააკმაყოფილებს სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს და ვერ მიიღებს შესაბამისი სასწვალო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სერთიფიკატს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში „მომხმარებელი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან შეწყვიტონ ხელშეკრულება ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მომხმარებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.4 მომხმარებლის მიერ, შემსრულებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში გადახდილი თანხა მომხმარებელს უკან არ დაუბრუნდება, მიუხედავად იმისა სასწავლო პროცესის რა ეტაპზე მოხდა წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრამდე.

1. ფორს-მაჟორი

12.2 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

12.3 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მომხმარებლის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.4 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან

2. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა აკადემიას, ხოლო ერთი - მომხმარებელს.

15. მხარეთარეკვიზიტები

„შემსყიდველი“

შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“

მისამართი: ბათუმი კ.გამსახურდიას #1 , ბ 4-7

საბანკო რეკვიზიტები:

სს “ტერა ბანკი“

ბანკის კოდი – TEBAGE22

„მიმწოდებელი“

ფ/პ გიორგი ჯუღელი

ბანკის დასახელება:

სს თი-ბი-სი ბანკი

მისამართი:

მარჯანიშვილის ქ. 7, 0102 თბილისი

ა/ნ – GE98KS00000003400800017

პ/ნ 18001000850

საიდენტიფიკაციო კოდი - 245626684

ანგარიშის ნომერი:

GE65TB7609945061600002

დირექტორი

_____ /სოფიო ანანიძე/ ბ. ა.

გიორგი ჯუღელი

დანართი 1

2019 დეკემბრის 20 დეკემბრის ხელშეკრულებაზე

ფასების ცხრილი

CPV კოდი და დასახელება	საქონლის/მომსახურების დასახელება	ღირებულება
80500000 80510000	სატრენინგო მომსახურება	**1970 (ერთი ათას ცხრაას სამოცდაათი)** ლარი

შპს აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია

ს/ნ 245626684

დირექტორი

Adjara Waste Management Company LLC

Подписано цифровой подписью: Adjara Waste Management Company LLC
Дата: 2019.12.23 11:36:00 +04'00'

სოფიო ანანიძე

ფ/პ გიორგი ჯუღელი

ქ.თბილისი

პ/ნ 18001000850

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი **23 დეკემბერი 2019**
წელი

ერთის მხრივ, **შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია"**, წარმოდგენილი დირექტორის სოფიო ანანიძის სახით და მეორეს მხრივ, **გიორგი ჯუღელი სახით,** შევადგინეთ წინამდებარე მიღება–ჩაბარების აქტი მასზედ, რომ 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული N68 ხელშეკრულების შესაბამისად, პირველმა მხარემ ჩააბარა, ხოლო მეორე მხარემ ჩაიბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

CPV კოდი და დასახელება	საქონლის/მომსახურების დასახელება	ღირებულება
80500000 80510000	სატრენინგო მომსახურება	**1970 (ერთი ათას ცხრაას სამოცდაათი)** ლარი

შპს აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია

ს/ნ 245626684

დირექტორი

სოფიო ანანიძე

Adjara Waste Management Company LLC

Подписано цифровой подписью: Adjara Waste Management Company LLC
Дата: 2019.12.23 11:36:28 +04'00'

ფ/პ გიორგი ჯუღელი

ქ.თბილისი

პ/ნ 18001000850